აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბათუმი, ხოლო იურიდიული მისამართია – ლუკა ასათიანის ქუჩა №37. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომის (სესიის) გამართვა შესაძლებელია ამ პუნქტში აღნიშნული ადგილსამყოფლის – იურიდიული მისამართის გარეთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტში.“

მუხლი 2

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ჩაქვი,

12 დეკემბერი 2019 წ.

N102-უ.ს.რ.ს.